



სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში სტუდენტური თვითმმართველობა) არის უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებითა და მართვის ორგანოებით, რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. სტუდენტური თვითმმართველობა არის აპოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობაზე გადასვლა.

3. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. სტუდენტური თვითმმართველობის ადგილსამყოფელია საქართველო, რუსთავი ბოსტანქალაქის ქუჩა N3, მეორე სართული.

5. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტი და სპეც-სახსრებიდან მიღებული შემოსავალი;

ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები;

გ) მესამე პირის მიერ გადმოცემული ქონება, რომლის მართვაც ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

დ) სხვა კანონით ნებადართული შემოსავლები.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უნივერსიტეტი - შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი;

ბ) სტუდენტი - პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად;

გ) სტუდენტური თვითმმართველობა - უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - უნივერსიტეტის ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის მართვას, ადმინისტრირებას და სასწავლო პროცესს;

ე) ფაკულტეტი - უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;

ვ) საერთო კრება - სტუდენტური თვითმმართველობის მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება არჩეული დელეგატებისგან;

ზ) პრეზიდენტი - სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი;

თ) აღმასრულებელი პალატა - სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო;

ი) კომიტეტი - კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო;

კ) მონიტორინგის სამსახური - სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების მაკონტროლებელი საბჭო;

ლ) დებულება - სტუდენტური თვითმმართველობის ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრება სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი.

### მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკულ რეალიზაციაში;

გ) დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში;

დ) დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში;

ე) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა;

ვ) ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას, დახმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას;

ზ) შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობის ან სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება.

თ) შეიმუშავოს წინადადებები უნივერსიტეტში არსებული პრობლემების შესახებ და წარუდგინოს შესაბამის ორგანოს წერილობითი ფორმით;

ი) შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა სოციალურ-კულტურული, სპორტული დასვენებისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, გამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება;

კ) ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების დაახლოებას. ხელი შეუწყოს მათი კულტურების წარმოჩენას უნივერსიტეტის ფარგლებში;

ლ) ურთიერთობები დაამყაროს და გააღრმავოს სხვა უნივერსიტეტების თვითმმართველობებთან და სხვა სტუდენტურ ორგანიზაციებთან;

მ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირებულობა ყველა საჭირო ინფორმაციით.

#### მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება

სტუდენტური თვითმმართველობა თავის უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) იცავს და წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

ბ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებას;

გ) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს რექტორს.

დ) პერიოდულად ახდენს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას და შედეგებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

ე) გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს;

ვ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს ინტერესების განხორციელების პროცესში;

ზ) თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრევე გაერთიანებებთან;

თ) გააჩნია კავშირი საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან;

ი) სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

#### მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი (შემდგომში „დელეგატი“) არის თვითმმართველობის წევრი, რომელიც წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით არჩეულ იქნა თვითმმართველობაში.

2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც იმავდროულად არ იკავებს უნივერსიტეტში რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას. დელეგატობის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს თითოეული ფაკულტეტიდან არანაკლებ 20 სტუდენტისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს. დელეგატები აირჩევიან ფარული კენჭისყრით საარჩევნო დებულების შესაბამისად.

3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 1 წლით.

4. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და მთავრდება ახალარჩეული დელეგატების პირველი შეკრებისთანავე.

5. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) უნივერსიტეტში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება;

გ) სტუდენტის სტატუსი შეწყვეტა;

დ) უნივერსიტეტის წესდების ან სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული წესების დარღვევა;

ე) არასაკმარისი მიზეზით, სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ზედიზედ სამი თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა;

ვ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ზ) გარდაცვალება.

6. დელეგატის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავს დელეგატობის ის კანდიდატი, რომელმაც დააგროვა სხვებთან შედარებით ხმათა მეტი, მაგრამ თვითმმართველობის დელეგატად არჩევისათვის არასაკმარისი ხმათა რაოდენობა.

#### მუხლი 6. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილებები

სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი უფლებამოსილია:

- ა) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში;
- ბ) იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;
- გ) აირჩიოს და თავად იყოს არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებში;
- დ) დაიკავოს სტუდენტურ თვითმმართველობაში ნებისმიერი თანამდებობა;
- ე) დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებებით მიმართოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;
- ვ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშავოს და განახორციელოს ისინი;
- ზ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ;
- თ) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის ვალდებულებები

სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი ვალდებულია:

- ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე გათვალისწინებული ვალდებულებები;
- ბ) დაიცვას უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;
- გ) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;
- დ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;
- ე) დაესწროს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომებს.

მუხლი 8. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა

1. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

- ა) სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება;
- ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;

გ) სტუდენტური თვითმმართველობის კომიტეტები.

2. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების უფლებამოსილება სრულდება უნივერსიტეტში ახალი სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების არჩევის მომენტიდან.

3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა.

4. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და კომიტეტები სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებია;

5. სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების მაკონტროლებელი ორგანოა.

მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის მმართველობის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა დელეგატისაგან.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება იკრიბება სამ თვეში ერთხელ მაინც. თვითმმართველობის საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე საერთო კრება შესაძლებელია ჩატარდეს უფრო ხშირადაც.

3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატებს ეცნობება საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს ორი დღისა.

4. თვითმმართველობის მორიგი საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს თვითმმართველობის პრეზიდენტს.

5. თვითმმართველობის საერთო კრების რიგგარეშე სხდომას მოიწვევს:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი დელეგატების არანაკლებ 1/4-ის მოთხოვნით;

6. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

7. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომებს თავმჯდომარეობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნისას თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი.

8. თვითმმართველობის საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხმების

თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კრების თავმჯდომარის ხმა.

## მუხლი 10. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების უფლებამოსილება

სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება:

- ა) სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას, ამავე უმრავლესობით შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;
- ბ) სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს;
- გ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით, ამტკიცებს და ათავისუფლებს სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ს;
- დ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით, ამტკიცებს და ათავისუფლებს სტუდენტური თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარეებს;
- ე) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით, ამტკიცებს და ათავისუფლებს სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარეს;
- ვ) ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყვეტს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს;
- ზ) დაამტკიცოს თვითმმართველობის წლის სამოქმედო გეგმა;
- თ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით იღებს დადგენილებებს, რომლებსაც ხელს აწერს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომის თავმჯდომარე;
- ი) ახორციელებს სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და ამ დებულებას.

## მუხლი 11. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას, უძღვება საერთო კრების სხდომებს და წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობებში.
2. თვითმმართველობის პრეზიდენტი ამავდროულად არის თვითმმართველობის დელეგატი.
3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა საერთო კრების მიერ 1 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.



4. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების არანაკლებ 1/5-ს. ასევე სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერ მინიმუმ 100 სტუდენტის ხელმოწერას

შენიშვნა: თუ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა მხოლოდ ორმა სტუდენტმა, დელეგატების წარდგენა არ მოახდინეს არც სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატებმა და არც საინიციატივო ჯგუფებმა ამ შემთხვევაში მოხდება სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა. თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევა მოხდება სტუდენტების მიერ.

4. იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა, 5 დღის ვადაში ინიშნება მეორე ტური იმ პირველი ორი კანდიდატისთვის, რომელმაც ყველაზე მეტი ხმათა რაოდენობა დააგროვა. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერც ერთმა კანდიდატმა დააგროვა საკმარისი ხმათა რაოდენობა, 10 დღის ვადაში ინიშნება ხელახალი არჩევნები.

6. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე.

7. ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე წინა მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირს უწყდება უფლებამოსილება.

8. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

გ) მოქალაქეობის დაკარგვა;

დ) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;

ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ვ) გარდაცვალება.

9. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი საერთო კრების გადაწყვეტილებით და 10 დღის ვადაში ინიშნება პრეზიდენტის არჩევნები.

მუხლი 12. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილებები

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

ა) ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას;

- ბ) დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს საერთო კრებას;
- გ) უძღვება საერთო კრების სხდომებს;
- დ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;
- ე) ხელს აწერს საერთო კრების სამართლებრივ აქტებს;
- ვ) ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების თარიღს მოქმედი თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა;
- ზ) კოორდინაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას;
- თ) ხელს აწერს მონიტორინგის სამსახურის დასკვნას სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატისთვის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის თაობაზე;
- ი) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტების და კომიტეტების თავმჯდომარეების კანდიდატურებს;
- კ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარის კანდიდატურას;
- ლ) უფლებამოსილია საერთო კრების წინაშე დააყენოს საკითხი ვიცე-პრეზიდენტების და სხვა პირების დაკავებული თანამდებობებიდან გადაყენების შესახებ;
- მ) ახორციელებს ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

**მუხლი 13. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ვალდებულებები**

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია:

- ა) 6 თვეში ერთხელ საერთო კრებას წარუდგინოს ანგარიში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ;
- ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატისთვის აუცილებელი მოთხოვნები.

**მუხლი 14. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტი**

საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების ან/და ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში, პრეზიდენტისათვის გათვალისწინებული უფლებამოსილების შეუსრულებლობისთვი სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა არანაკლებ 1/3-ს შეუძლია დაიწყოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა და დარღვევის ფაქტები გადაუგზავნოს მონიტორინგის სამსახურს. მონიტორინგის სამსახური 10 დღის ვადაში იკვლევს ფაქტებს, დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, 5 დღის ვადაში

საერთო კრება კენჭს უყრის პრეზიდენტის გადაყენების საკითხს. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარს დაუჭერს საერთო კრების სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

#### მუხლი 15. სტუდენტური თვითმმართველობის კომიტეტები

1. სტუდენტური თვითმმართველობის კომიტეტი არის კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

2. კომიტეტი შედგება კომიტეტის თავმჯდომარისაგან, რომელიც ახორციელებს კომიტეტის მართვას.

3. კომიტეტი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით.

5. სტუდენტური თვითმმართველობის კომიტეტის სხდომა ტარდება თვეში ერთხელ მაინც და მას უძღვება კომიტეტის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი კომიტეტის ერთ-ერთი წევრი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

6. კომიტეტის რიგგარეშე სხდომას მოიწვევს:

ა) კომიტეტის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ან მასთან შეთანხმებით ვიცე პრეზიდენტი.

7. სტუდენტურ თვითმმართველობაში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილია შემდეგი კომიტეტები:

ა) განათლებისა და მეცნიერების;

ბ) კულტურის;

გ) სპორტის;

დ) სტუდენტთა უფლებების დაცვის;

ე) ტურიზმის;

ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობის.

8. განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი გეგმავს და აწყობს დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, კონფერენციებს და სხვა საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებებს.

9. კულტურის კომიტეტი გეგმავს და აწყობს თეატრალურ, კულტურულ, შემოქმედებით და კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს, აგრეთვე შეხვედრებს სტუდენტური საზოგადოებისათვის სასურველ პიროვნებებთან.

10. სპორტის კომიტეტი აწყოფს შეჯიბრებებს, ჩემპიონატებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში, თანამშრომლობს სპორტის დეპარტამენტთან, აგრეთვე ცალკეულ სპორტის სახეობათა ფედერაციებთან და ახორციელებს კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.
11. სტუდენტთა უფლებების დაცვის კომიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, დარღვეული უფლებების აღდგენას, პერიოდულად ახდენს აკადემიური პერსონალის შემოწმებას, ახორციელებს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის სხვა აუცილებელ ღონისძიებებს.
12. ტურიზმის კომიტეტი გეგმავს და აწყოფს ლაშქრობებს, ექსკურსიებს, სტუდენტთა დასვენებისა და განტვირთვისათვის საჭირო, კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.
13. საზოგადოებასთან ურთიერთობის კომიტეტი უზრუნველყოფს საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობას, გეგმავს სტუდენტებისათვის პიარ ღონისძიებებს და კამპანიებს, ახდენს სტუდენტური თვითმმართველობის სოციალური ქსელების ადმინისტრირებას და აგრეთვე კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.

#### მუხლი 16. სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური

1. სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური არის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და 3 დელეგატისაგან.
2. მონიტორინგის სამსახურის წევრს არ შეიძლება ეკავოს სტუდენტურ თვითმმართველობაში ნებისმიერი სხვა თანამდებობა.
3. მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარეს პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება.
4. მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარე ნიშნავს 3 დელეგატს სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახურის წევრებად, რომელთაგან ერთ-ერთს ნიშნავს მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარის მოადგილეს.
5. მონიტორინგის სამსახური იკრიბება თვეში ერთხელ მაინც.
6. მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობა.
7. მონიტორინგის სამსახური გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარის ხმა.
8. განსაკუთრებულ ან/და ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონიტორინგის სამსახურის სხდომას მოიწვევს:
  - ა) მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარე თავის ინიციატივით;

ბ) მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარე, სამსახურის წევრთა არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით.

მუხლი 17. სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილება

1. სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური:

ა) ახორციელებს ფინანსურ კონტროლს;

ბ) ამოწმებს წინადადებებისა და პროექტის აღსრულებისათვის გათვალისწინებული ხარჯების აუცილებლობას;

გ) ზედამხედველობს დაფინანსებული წინადადების ან/და პროექტისა მიმდინარეობს;

დ) ამოწმებს სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტში არსებული ხარჯების მიზანშეწონილებას;

ე) ზედამხედველობს სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტიდან სახსრების მიზნობრივ გადინებასა და ხარჯვას;

ვ) აჯამებს დაფინანსებული წინადადების ან/და პროექტის საბოლოო შედეგებს;

ზ) ახორციელებს სამართლებრივ კონტროლს;

თ) ზედამხედველობს დელეგატების მიერ ამ დებულების დაცვას და მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულებას;

ი) ზედამხედველობს მართვის ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობებისა და ამ დებულების შესრულებას;

კ) განიხილავს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის მიმდინარეობისას, პრეზიდენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან/და სტუდენტური თვითმმართველობის დებულების დარღვევის ფაქტებს;

ლ) ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა ფინანსურ და სამართლებრივ კონტროლს, რომლის განხორციელებაც არ ეწინააღმდეგება სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

2. მონიტორინგის სამსახური თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, იღებს დასკვნას, რომელსაც ხელს აწერს მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარის მოადგილე.